მსმენელთა შეფასებისა და სერტიფიკატის გაცემის წესი

(პროფესიული განვითარების პროგრამები)

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად: "სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი უფლებამოსილია გასცეს შესაბამისი მოწმობები და სერტიფიკატები".

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 მარტის N46/ნ ბრძანების მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის, „კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების, ,,კ" პუნქტის შესაბამისად, ცალკეული სასწავლო მოდული გავლილად ჩაითვლება: არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით).

პროგრამის მონაწილეთა დასწრების აღრიცხვას უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენინგების სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი. სასწავლო ცენტრში გამოცხადება და გასვლა დაფიქსირდება „ტრენინგის მონაწილეთა აღრიცხვის ჟურნალზე" ხელმოწერით, ხოლო დასწრების აღრიცხვის მონიტორინგს აწარმოებენ ტრენინგის კოორდინატორები.

დასწრების მონიტორინგის მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები უფლებამოსილნი საჭიროების შემთვევაში გამოიყენონ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 01 ოქტომბრის N157/ს ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის მე-13 მუხლის შესაბამისად, ცენტრის შენობაში ვიზიტორის, ტრენინგის მონაწილის/ტრენერის შემოსვლისა და გასვლის ელექტრონული საშვის სისტემის მონაცემები (ტექნიკური საშუალება -"ტურნიკეტი").

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა:

ა) სასწავლო პროგრამის კურსში შემავალი თითოეული მოდულის 80 % -იანი დასწრების მაჩვენებლის დაკმაყოფილების შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით);

ბ) ფინალური შეფასებისთვის (ტესტური გამოცდა)[1] დადგენილი მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 75 %-ის, გადალახვის შემთხვევაში.

<u>**შენიშვნა:**</u> პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების დასწრების ზღვარის - 80% შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია განმეორებით დაესწროს შესაბამის მოდულს.

<u>**იმ შემთხვევაში:**</u>

ა) თუ მონაწილე ვერ გადალახავს ფინალური გამოცდისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მას ეძლევა გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება.

ბ) თუ გამოცდის განმეორებით ჩაბარების მიუხედავად, მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს გამოცდისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, სერტიფიკატი არ გაიცემა.

მონაწილე, რომელიც სასწავლო კურსის დასრულებამდე ვერ გადალახავს პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად, სასწავლო ცენტრის მიერ დადგენილი დასწრებისა და ფინალური გამოცდის პირობებს/ეტაპებს, უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი ტრენინგ(ებ)ის/მოდულის დასწრების შესახებ ცნობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი გასცემს სერტიფიკატს ქართულ ენაზე უფლებამოსილი პირის ავთენტური ხელმოწერით.

<u>**სერტიფიკატზე მითითებული უნდა იყოს:**</u>

1) საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლოგოს აღნიშვნა;

2) ტრენინგის მონაწილის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა სერტიფიკატი სასწავლო პროგრამის დასრულებისათვის;

3) გაცემის ადგილი;

4) ხელმომწერი პირის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;

5) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

6) პროგრამის სრული დასახელება (საათების მითითებით);

[1] ტესტირება განხორციელდება იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის, 2015 წლის N152/ს - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტირების მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად (იხ. დანართი 11).

7) ცენტრის ბეჭედი;

8) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აღინიშნება სერტიფიკატის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ ერთიან რეესტრში (შემდგომში „სერტიფიკატის რეესტრი“)

დამკვეთი უწყების მოთხოვნით შესაძლებელია გაიცეს სერტიფიკატის დანართი, სადაც აღინიშნება ინფორმაცია, მოდულის დასახელების, საკონტაქტო საათების, დასწრებისა და ფინალურ გამოცდაზე მიღებული ქულის შესახებ.

სერტიფიკატი გაიცემა პირადობის მოწმობის (პასპორტი) წარმოდგენის საფუძველზე თავად ტრენინგის/სასწავლო პროგრამის მონაწილეზე. პროგრამის მონაწილის ინდივიდუალური სერტიფიკატის სხვა პირზე გაცემა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისას. აგრეთვე, დამკვეთი უწყების მოთხოვნით პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული სწავლების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია განისაზღვროს უფლებამოსილი პირი, რომელსაც სრულად გადაეცემა მოხელეთა სერტიფიკატები.

იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატის მიმღებმა პირმა დაკარგა სერტიფიკატი, მიმღები უფლებამოსილია, განცხადების საფუძველზე, იუსტიციის სასწავლო ცენტრისგან მოითხოვოს ოფიციალური კორესპონდენცია (ცნობა) ტრენინგის, აკრედიტებული სასწავლო პროგრამის (ტრენინგის ჩატარების თარიღებისა და მოდულის/ტრენინგის თემის აღნიშვნით) გავლის შესახებ.

სერტიფიკატების რეესტრის წარმოებისას სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი საგანმანათლებლო/სასწავლო მიზნებისთვის უზრუნველყოფს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატების ბეჭდური სახით შენახვა დასაშვებია არაუმეტეს სამი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, შესაბამისი აქტის საფუძველზე, არსებული სერტიფიკატები ექვემდებარება განადგურებას.